უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ.თბილისი **21.09.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, სხდომის მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი ,,საერთაშორისო განათლების ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი.
გრიგოლ მურღულია - განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ირინე შოთაძე - შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორი;
2. თამარ გაიხარაშვილი - შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის უფროსი;
3. ნინო ჟვანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. ნინო პატარაია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანი;
5. ლაშა ლაზაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორი;
6. ერიკ ლივნი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორი;
7. თეონა ხუფენია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
8. მანანა სამუშია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ქეთევან ცეცხლაძე;
ნინო ჯოჯუა;
ციური დურული;
ქეთევან ჯანელიძე.

სხვა დამსწრე პირები:

მაია ჩიხლაძე - ა(ა)იპ - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი; ,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას" დირექტორის მოადგილე; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:12 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით აფრასიძემ. ამავე ნორმის თანახმად, საბჭოს მდივნის მოვალეობა შეასრულა თინათინ ბრეგვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 23-ე მუხლის 1^2 პუნქტის თანახმად, სათათბირო ხმის უფლებით სხდომას ესწრებოდა მაია ჩიხლაძე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა წარადგინა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ და ითხოვა დღის წესრიგით

გათვალისიწინებული მეორე საკითხის, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა მომხდარიყო პირველ საკითხად.

საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის ახალის დღის წესრიგი.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ თვითაცილება განაცხადა აღნიშნული საკითხის განხილვის დაწყებამდე და საბჭომ სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია თამარ ზარანდია.

თამარ ზარანდიამ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ჯოჯუამ. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ორი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, ეკონომიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი, ორივე საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულებასა და ISET-ის კვლევით ცენტრს შორის დადებული იყო მემორანდუმი, აღნიშნლი პროგრამების განხორციელებისას თანამშრომლობის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულები დასაქმდებიან ისეთ ორგანიზაციებში, სადაც მიმდინარეობდა ეკონომიკური ხასიათის კვლევები. საბაკალავრო საფეხურზე გათვალისწინებული იყო სტაჟირებები დაწესებულების პარტნიორ ორგანიზაციებსა და კვლევით ცენტრებში, ხოლო სამაგისტრო კვლევა და შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომიც ორიენტირებული იქნებოდა პრაქტიკულ კომპონენტზე.

თამარ ზარანდია დაინტერესდა, ინგლისური ენის ცოდნის რა დონე მოეთხოვებოდათ ეკონომიკის ინგლისურენოვან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხის მსურველებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხვის მსურველ პირს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა მოეპოვებინა ინგლისურ ენაში - 65%+1, ხოლო იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებითვისაც ინგლისური ენა არ იყო მშობლიური ენა, მოითხოვებოდა ინგლისური ენის მინუმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ნებისმიერი საერთაშორისო სერტიფიკატი. რაც შეეხებოდა, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირს, მას ინგლისურ ენაზე უნდა ჩაებარებინა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები და დაედასტურებინა ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე.

კონსტანტინე სირბილაძე დაინტერესდა, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადმეიური პერსონალისა და სტუდნტების თანაფარდობით.

ექსპერტმა განმარტა, რომ ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებდა 17 პროფესორ-მასწავლებელი, აქედან 1 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი და 12 მოწვეული მასწავლებელი. ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებდა 13 პროფესორ-მასწავლებელი, აქედან 4 ასოცირებული პროფესორი და 9 მოწვეული მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენლებმა სხდომაზე განაცხადეს, რომ

საბაკალავრო პროგრამაზე 160 სტუდენტით გეგმავდნენ კონტიგენტის განსაზღვრას, ხოლო სამაგისტრო პროგრამაზე - 60 სტუდენტით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კიდევ დამატებითი კითხვები ექსპერტისა და დაწესებულების წარმომადგენლების მიმართ. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ეკონომიკის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ეკონომიკის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.

№	აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	ბაკალავრიატი	ეკონომიკა (ინგლისურენოვანი)	ეკონომიკის ბაკალავრი Bachelor of Econimics
2	მაგისტრატურა	ეკონომიკა (ინგლისურენოვანი)	ეკონომიკის მაგისტრი Master of Econimics

თამარ ზარანდიამ 14:25 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

2. შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან ცეცხლაძემ. ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს N129 გადაწყეტილებით, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 475 სტუდენტით. დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად დაწესებულებაში ფიქსირდებოდა 474 სტუდენტი, მათ შორის 384 აქტიური, 84 შეჩერებული სტატუსი მქონე პირი. აკადმიური პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენდა 46-ს, მათ შორის 19 პროფესორი, 20 ასოცირებული პროფესორი და 7 ასისტენტ პროფესორი. დაწესებულება ახორციელებდა სამ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, კერძოდ: სამკურნალო საქმე (ქართულენოვანი), სტომატოლოგია (ქართულენოვანი), მედიცინა (ინგლისურენოვანი). დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 775-მდე გაზრდა. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას შეეძლო ამ რაოდენობის სტუდენტებისათვის გაეწია საგანმანათლებლო მომსახურება. ექსპერტის განმარტებით, ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ გაუმჯობესდა დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე გაიზარდა სასწავლო ფართის ოდენობა, გაიზარდა აკადემიური პერსონალის რაოდენობა და გაფორმდა ახალი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სამედიცინო დაწესებულებებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას მომავალ წელს უწევდა განმეორებითი ავტორიზაცია, თუმცა ვინაიდან სრულად იყო შევსებული სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და დაწესებულებაში სწავლის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე ბევრი იყო დარეგისტრირებული, დაწესებულებამ გადაწყვიტა გაეზარდა სტუდენტთა რაოდენობა. უცხოელი სტუდენტებისათვის განსაზღვრული სწავლის საფასური სხვა სამედიცინო მიმართულების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შედარებით ნაკლები იყო, თუმცა ამ შემოსავლის ხარჯზე უმჯობესდებოდა ქართველი სტუდენტებისათვის სასწავლო პირობები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 775-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ,,ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204861961) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 775-ით.

3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით აფარიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1[2] პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია ასევე მონაწილობდეს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზრვრული პირი. ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით 21 სექტემბრის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი, მაია ჩიხლაძე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომრემ, ციური დურულმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მეოთხე საფეხურის დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დუალური პროგრამა სიახლე იყო ქართულ პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში და გულისხმობდა სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. აღნიშნული პროგრამა მოიცავდა სამ პროფესიულ სპეციალიზაციას: კურკოვანი კულტურები, თესლოვანი კულტურები და კაკლოვანი კულტურები. დაწესებულების მიერ შერჩეული იყო კაკლოვანი კულტურების სპეციალიზაცია. დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას განახორციელებდა საკუთარი და პარტნიორი ორგანიზაციების/საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის გამოყენებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას დიდი გამოცდილება ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა ახალი გამოწვევა იქნებოდა დაწესებულებისთვისაც. ორ სივრცეში პროგრამის განხორციელება და პირდაპირი კომუნიკაცია დამსაქმებელთან, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების გარანტს წარმოადგენდა. კაკლოვანი კულტურების მიმართულებით, სამეგრელოში დასაქმების დიდი არეალი იყო, სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა დაწესებულების არჩევანიც. ორ კვირიანი იურიდიული პროცედურების დასრულების შემდეგ, დაწესებულებასა და კომპანია ,,ფერეროს'' შორის გაფორმდება ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული კომპანია ჩაერთვება მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) პროფესიული პროგრამის განხორციელებაში როგორც ყველაზე დიდი დამსაქმებელი ამ მიმართულებით.

მაია ჩიხლაძე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტის მიღება სურდა დაწესებულებას აღნიშნულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგეგმებოდა 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. ზუგდიდის გარდა სწავლება განხორციელდებოდა სენაკის ბაზაზეც, სადაც 20 ჰექტრამდე სასოფლო დანიშნულების მიწა იყო, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინვენტარით. სენაკის ბაზაზე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელიც მზად იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 20-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 5
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 220407888) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება და აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 20-ით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	განხორციელების ადგილი
1	მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კაკლოვანი კულტურები)	107	20	ქ. სენაკი, მშვიდობის ქ. N192

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 15:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

თამარ ზარანდია

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე